ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 361

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს (პ/ნ. 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მაარიფ ულუსლარარასი ეღითიმ ქურუმლარი", ს/ნ. 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს (პ/ნ: 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მაარიფ ულუსლარარასი ეღითიმ ქურუმლარი", ს/ნ: 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის №25.1252.1428 განკარგულების გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს (პ/ნ. 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მაარიფ ულუსლარარასი ეღითიმ ქურუმლარი", ს/ნ. 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებაში და გაუქმდეს ქალაქ თბილისში, ლისზე მდებარე 2917.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 72.16.21.793) აღნიშნული ხელშეკრულების „ბ.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - „სკვერის მოწყობა", იმ პირობით, რომ სს „მაარიფ ულუსღარარასი ეღითიმ ქურუმლარი" (ს/ნ. 8790664477), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ მასთან შესაბამისი შეთანხმების ვაფორმებისა და ამავე მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის

სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 1 980 643 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცი ათას ექვსას ორმოცდასამი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე